პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

ოთხშაბათი
22 სექტემბერი
1954 წელი
№ 76 (778)
ფასი 30 კაპ.
გამოცემის მე-11 წელი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

გაზეთ „კომუნისტის" რედაქციას

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მიესალმება და ულოცავს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციის კოლექტივს, მუშსოფლკორებსა და ავტორთა აქტივს გაზეთის მეათიათასე ნომრის გამოსვლას.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე გაზეთი „კომუნისტი" საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყოვლისმძლე იდეების აქტიური გამტარებელი იყო, დაუცხრომლად იბრძოდა საქართველოს სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის წარმატებებისათვის, ზრდიდა მშრომელებს სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი ლენინურ-სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით, კომუნიზმის დიადი საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი რწმენას გამოთქვამს, რომ გაზეთი „კომუნისტი" კვლავაც იქნება რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის აქტიური თანაშემწე საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აყვავებისათვის, მთელი ჩვენი მძლავრი სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის მუშათა, კოლმეურნეთა და ინტელიგენციის შემოქმედებითი ძალების დარაზმვის საქმეში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

გაზეთ „კომუნისტის" მეათიათასე ნომრის გამოსვლისადმი მიძღვნილი კრება

20 სექტემბერს რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში გაიმართა ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული აქტივის კრება ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებთან ერთად. კრება მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს — გაზეთ „კომუნისტის" მეათიათასე ნომრის გამოსვლას.

თეატრის დარბაზში შეიკრიბნენ ქალაქის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლნი, საწარმოთა და მშენებლობათა მოწინავე მუშაკები, გაზეთებისა და ჟურნალების თანამშრომელნი, მწერლები, მეცნიერებისა და ხელოვნების მოღვაწენი.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები ვ. მჟავანაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. გიორგაძე, ო. გოცირიძე, დ. მჭედლიშვილი, მ. კუჭავა, ა. ინაური, ა. გუნია და სხვები.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ. მან აღნიშნა, რომ გაზეთი „კომუნისტი" საქართველოს პარტიული ორგანიზაციების აქტიური თანაშემწეა იმ ამოცანების წარმატებით შესასრულებლად რესპუბლიკის მშრომელთა დარაზმვისათვის ბრძოლაში, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს.

ამხ. მჟავანაძემ რედაქციის კოლექტივს, მუშსოფლკორებს მიულოცა გაზეთ „კომუნისტის" მეათიათასე ნომრის გამოსვლა და უსურვა ახალი წარმატებანი საბჭოთა პრესის წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების განხორციელებაში.

მოხსენება გააკეთა გაზეთ „კომუნისტის" რედაქტორის მოადგილემ ამხ. რ. ქურციკიძემ. მან ილაპარაკა გაზეთის მიერ განვლილი გზის შესახებ. გაზეთი „კომუნისტი" მრავალი წლის მანძილზე არის კომუნისტური პარტიის დიადი იდეების აქტიური გამტარებელი. იგი მტკიცედ იბრძოდა საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის განვითარებაში წარმატებების მიღწევისათვის.

გაზეთი მუშაობას ეწევა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეის პროპაგანდისათვის, მშრომელთა აღსაზრდელად ხალხთა ლენინურ-სტალინური მეგობრობის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

გაზეთი ეხმარება პარტიულ ორგანიზაციებს პარტიისა და მთავრობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა, სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაფართოება.

მომხსენებელი ლაპარაკობს ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჯერ კიდევ არის გაზეთის მუშაობაში, იმაზე, რომ საჭიროა გაძლიერდეს მისი შემოქმედებითი და ორგანიზატორული მუშაობა, განმტკიცდეს კავშირი მკითხველებთან, უფრო ფართოდ შუქდებოდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხები.

გაზეთ „კომუნისტს" „ზარია ვოსტოკას" რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის სახელით მიესალმა გაზეთის რედაქტორი ამხ. ი. ჩხიკვიშვილი. მან „კომუნისტს" უსურვა ახალი წარმატებანი მისი როლის — კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მშრომელთა ორგანიზატორის როლის შესრულებაში.

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის მრავალდაზგოსანმა მქსოველმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ამხ. მ. ბურჯანაძემ, მიულოცა რა გაზეთ „კომუნისტის" კოლექტივსა და მუშსოფლკორებს, თქვა, რომ გაზეთმა შემდეგში მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს მრეწველობის განვითარების საკითხების გაშუქებას, წარმოების მუშაკთა ცხოვრებისა და შრომის ჩვენებას.

საბჭოთა სომხეთის პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა სახელით გაზეთ „კომუნისტს" გულთბილად მიესალმა სომხეთის რესპუბლიკური გაზეთის „სოვეტაკან ჰაიასტანის" რედაქტორი ამხ. ო. ბალდასარიანი. მან ილაპარაკა ამიერკავკასიის რესპუბლიკების მოძმე ხალხთა მზარდ მეგობრობაზე, პრესის როლზე მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში.

გაზეთ „კომუნისტს" მისალმებით მიმართა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა პოეტმა ი. აბაშიძემ. მან გაზეთის კოლექტივს უსურვა მკაფიოდ და ღრმად გააშუქოს კულტურული მშენებლობის საკითხები.

აზერბაიჯანის პრესის მუშაკთა და მუშსოფლკორთა სახელით გაზეთს მიესალმა აზერბაიჯანის რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" რედაქტორი ამხ. ხ. ვეზიროვი, რომელმაც გამოთქვა რწმენა, რომ გაზეთი „კომუნისტი" კვლავაც დარაზმავს მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

„კომუნისტის" კოლექტივს მიესალმა გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის" რედაქტორი ამხ. ზ. პოლოსიანი, რომელმაც ილაპარაკა მის დიდ როლზე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ბრძოლაში.

გაზეთ „კომუნისტს" აგრეთვე მიესალმა თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის" მსახიობი ლ. აბაშიძე.

(საქდესი).

რაციონალურად გამოვიყენოთ დარჩენილი დრო

დღითიდღე სულ ახალ აღმავლობას განიცდის ჩვენი დიადი ქვეყნის მრეწველობა და სოფლის მეურნეობა. უფრო შეძლებული და ბედნიერი ხდება ცხოვრება საბჭოთა მშრომელებისა, რომლებიც დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივ ზრუნვას, ფაბრიკა ქარხნებში, შახტებში, საკოლმეურნეო მინდვრებში გმირული შრომით პასუხობენ.

ჩვენი ქვეყნის მგზნებარე პატრიოტთა შორის, რომლებიც მამაცურ შრომით მაგალითებს ავლენენ, არიან ფიზკულტურელები და სპორტსმენები. ისინი ნაყოფიერ შრომას კარგად უხამებენ სპორტულ სექციებში მეცადინეობას, სისტემატური წვრთნით იმაღლებენ ოსტატობას, მონაწილეობენ მრავალრიცხოვან სპორტულ ღონისძიებებში, მაღალი შედეგებით სახელს უხვეჭენ მშობლიურ საწარმოს, კოლმეურნეობას.

ჩვენი საბჭოთა ფიზკულტურული მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მშთ კომპლექსი. იგი არის ახალგაზრდის სპორტული გზის საწყისი. ამიტომაა, რომ ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ამ მნიშვნელოვან საქმეს.

საქართველოში ხელსაყრელი კლიმატური პირობების გამო შესაძლებელია ნიშნოსნების მომზადება თითქმის მთელი წლის განმავლობაში. ყოველი ფიზკულტურული კოლექტივი, რომელიც ჯეროვნად აფასებს ამ საქმეს, მთელი წლის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობს ამ დარგში — რასაკვირველია შედეგსაც კარგს აღწევს. მაგრამ იქ, სადაც ნიშნოსნების მომზადებას გულგრილად ეკიდებიან, ხელსაყრელ პირობებს ვერ იყენებენ, საქმეს გადადებენ და სპორტული სეზონის დამთავრებამდე 1-2 თვით ადრე გამოფხიზლდებიან — ასეთი ფიზკულტურული ორგანიზაცია სამარცხვინოდ ჩამორჩება. ამას თან სდევს ზემდგომ ორგანოებში თვალისამხვევი დოკუმენტების წარმოდგენის ფაქტები. სწორედ ასე მოიქცა თერჯოლის ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე ო. კახიძე, რომელმაც თვეების განმავლობაში არაფერი გააკეთა და როცა ნახევარი წლის ანგარიშის შედგენის დრო მოახლოვდა, დაიწყო ყალბი დოკუმენტების შეკოწიწება.

გეგეჭკორის რაიონში წლების განმავლობაში ჩაშლილია ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში. ასევე სუსტადაა დაყენებული მუშაობა სიღნაღის, მაიაკოვსკისა და სხვა რაიონებში.

მაგრამ ისმის კითხვა. როდესაც რაიონი ჩამორჩება ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებაში, რას აკეთებს კომკავშირის რაიკომი? მან ხომ კარგად იცის, რომ მშთ კომპლექსი კომკავშირის ინიციატივითაა შემოღებული, რომ ამ საქმისათვის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტთან ერთად პასუხისმგებლობა მასაც ეკისრება? განა კმარა რაიკომის ბიუროზე საკითხის განხილვა, რაიონში ფიზკულტურული საქმიანობის მდგომარეობაზე მსჯელობა და დადგენილების გამოტანა? რასაკვირველია, არა. კომკავშირის რაიკომი უნდა იყოს რაიონში ფიზკულტურული მუშაობის სული და გული, მან ფართოდ უნდა ჩააბას კომკავშირული და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობა სპორტულ საქმიანობაში, იბრძოლოს რაიონში ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების გეგმების შესრულებისათვის.

წლის ბოლომდე რამდენიმე თვე დარჩა. ეს პერიოდი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებისათვის. ამისათვის კი საჭიროა ხშირად მოვაწყოთ სპორტული ღონისძიებები. ყოველი შეჯიბრება ჩავატაროთ სპორტულად მაღალ დონეზე, მოვიზიდოთ მრავალრიცხოვანი მაყურებელი.

ამჟამად მიმდინარეობს დედაქალაქის XVI საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა, რომელშიც 2.500-ზე მეტი კაცი მონაწილეობს. ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება ხელს შეუწყობს თბილისის ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ახალი ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების გამოვლინების საქმეში.

დღეს ვბეჭდავთ ხაშურის რკინიგზის კვანძის ფიზკულტურელთა მიმართვას ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა ფიზკულტურელისადმი. ეს მიმართვა დიდად დაეხმარება ამ მნიშვნელოვანი საქმის აღმავლობას რკინიგზელ ფიზკულტურელთა შორის. საჭიროა ამ ინიციატივას სხვა ძირეულმა ფიზკულტურულმა კოლექტივმაც დაუჭიროს მხარი, დარჩენილი დრო ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების მომზადებისათვის შეუპოვარ მუშაობაში ჩაატაროს.

ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა და საზოგადოებრივი კადრების მომზადება სახელმწიფოებრივი საქმეა, მასში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. ამიტომ, საჭიროა მთელი ძალების დაძაბვა, აქტივისტ ფიზკულტურელთა დარაზმვა, რათა დიდი ოქტომბრის 37-ე წლის თავს ახალი მიღწევებით — აღებული ვალდებულებების პირნათლად განაღდებით შევხვდეთ.

ახალგაზრდა მოჭადრაკის დასახმარებლად

დ ე ბ ი უ ტ ი

უკანასკნელი 30 წლის მანძილზე საჭადრაკო თეორიამ და პრაქტიკამ ისეთი გიგანტური ნაბიჯები გადადგა, რომ საჭადრაკო ხელოვნების ცალკეულ საკითხებზე ძველი შეხედულებანი მოჭადრაკეებს ველარ აკმაყოფილებთ. სადებიუტო ცოდნაში ნოვატორებად გამოდიან საბჭოთა ოსტატები.

დებიუტის დამუშავებისათვის დიდი მუშაობა გასწიეს ჩვენმა თეორეტიკოსებმა. დებიუტი ეს არა მარტო პარტიის დაწყებითი სვლებია, არამედ დასაბამი იმ სტრატეგიული სურათისა, რომელიც მოსალოდნელია შუა თამაშში. „დებიუტის ცოდნა, — წერენ გროსმაისტერები პ. კერესი და ს. ფლორი, — თანამედროვე მოჭადრაკის ზრდისა და წინსვლის აუცილებელი პირობაა". ხოლო გროსმაისტერი გ. ლევენფიში დასძენს: „მოჭადრაკის თამაშის ძალის არითმეტიკული პროგრესიით ზრდასთან ერთად, გეომეტრიული პროგრესიით იზრდება დებიუტის ცოდნის მნიშვნელობა".

ყოველი თანრიგის მოჭადრაკემ უნდა იცოდეს პარტიის კარგი დაწყება. თუ პირველმა და მეორეთანრიგოსანმა იცის ცალკეული დებიუტები, მეხუთე თანრიგოსნისათვის საკმარისია გაიგოს ფიგურების დებიუტში განვითარების მთავარი პრინციპები.

საჭადრაკო დებიუტი იყოფა ორ ჯგუფად: გამბიტური დაწყებანი ისეთი სადებიუტო სისტემებია, რომელშიც პირველსვლებიდანვე ირღვევა ძალთა მატერიალური თანაფარდობა. გამბიტი ნიშნავს დებიუტში შეწირვას. ჩვეულებრივ დებიუტში ფიგურების სწრაფად განვითარების ან უბრალოდ დროის მოგების მიზნით სწირავენ პაიკს, ზოგჯერ—ფიგურას. გამბიტური დებიუტის გამოყენებისას აუცილებელია მისი მრავალფეროვანი ვარიანტების ზუსტი ცოდნა. გამბიტური დებიუტებია: მეფის, მხედრის, ევანსისა და სხვა გამბიტები. აქვე საჭიროა აღვნიშნოთ, რომ გამბიტური დებიუტი იძლევა მდიდარ კომბინაციურ თამაშს. ამიტომ ახალგაზრდა, მზარდი მოჭადრაკეების მიერ მათი ხშირი გამოყენება გამართლებულია.

მეორე სახის დებიუტები პოზიციური ხასიათისაა, მათში ბრძოლა ნელა ვითარდება. ამ დებიუტებში მთავარი ამოცანაა ხელსაყრელი პოზიციის აგება, რომელიც განსაზღვრავს მომავალ სტრატეგიულ თამაშს, დებიუტი და შუა თამაში ერთმანეთთან ორგანულ კავშირში არიან. პოზიციურ დებიუტებს მიეკუთვნებიან: ნიმცოვიჩის, ძველინდური, ფრანგული დაცვა და სხვ. მართალია, მათშიც აქვს ადგილი ტაქტიკურ ბრძოლას, მაგრამ ძირითადი აქ მაინც პოზიციური თამაშია.

დებიუტი ჭადრაკის თამაშის იმანენტური კანონზომიერების ძიების თვალსაზრისით მეტად საინტერესოა, მაგრამ ჩვენ დებიუტს განვიხილავთ მისი პრაქტიკული ღირებულების მნიშვნელობით. ყოველ მოჭადრაკეს გააჩნია თავისი სადებიუტო რეპერტუარი. მაგრამ სადებიუტო სისტემების სიმრავლის გამო მოჭადრაკის წინაშე ისმება კითხვა. რამდენი დებიუტი უნდა იცოდე? რასაკვირველია, პასუხი ამ კითხვაზე დამოკიდებულია თვითონ მოჭადრაკის პირად გემოვნებაზე, მეხსიერებასა და ხასიათზე. მაგალითად, ა. ალიოხინი პრაქტიკაში მრავალ დებიუტს იყენებდა, ხოლო მ. ბოტვინიკმა, ვ. სმისლოვმა, ა. კოტოვმა, ე. გელერმა, ტ. პეტროსიანმა რამდენიმე დებიუტით შემოიფარგლეს თავიანთი რეპერტუარი. ასევე მოიქცნენ ჩვენი რესპუბლიკის ცნობილი მოჭადრაკეები — ბ. გურგენიძე, ა. ბუსლაევი და ა. ბლაგიძე. ისინი მხოლოდ ორი სადებიუტო სისტემით კმაყოფილდებიან. მაგრამ იმ დებიუტებში, რომელსაც თამაშობენ, ღრმად ერკვევიან. ყოველივე ეს გამოწვეულია დებიუტების არამარტო სიმრავლით, არამედ თვითეული დებიუტის ვარიანტების დიდი რიცხვითა და სიღრმით.

საბჭოთა მოჭადრაკეებმა დიდ სიმაღლეზე აიყვანეს სადებიუტო თამაშის მეთოდოლოგია. დებიუტის ძირითადი იდეა ისწავლება სახელმძღვანელოდან. მაგრამ ეს როდია საკმარისი. დებიუტის სახელმძღვანელო, როგორც წესი, გამოცემისას აუცილებლად ჩამორჩება იმ დროისათვის თეორიის მდგომარეობას. ამიტომ მომეცადინემ იგი უნდა შეავსოს საჭადრაკო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალებით.

დებიუტის შესწავლისას მომეცადინე ცალკე რვეულში იწერს დებიუტის იდეას, ავსებს მას ანალიზებით, ოსტატების მიერ ნათამაშები პარტიებიდან ამოღებული მომენტებით. შემდეგ ხდება მასალის სისტემატიზაცია ცალკეული ვარიანტების მიხედვით. როცა ეს მუშაობა დამთავრდება, აუცილებელია დაგროვილი მასალის შესწავლა, ე. ი. მისი გააზრებული ანალიზი. ანალიზი უნდა იყოს ობიექტური და კრიტიკული. ცნობილია, რომ ავტორიტეტებიც ცდებიან. ამიტომ გროსმაისტერი ე. ლასკერი ამბობდა, რომ ის ვარიანტები, რომელთაც კარგი სახელი ჰქონდა წარსულში, არ უნდა მიიღოთ რწმენითო.

დებიუტის კაბინეტური დაუფლების შემდეგ იწყება მისი პრაქტიკაში გამოცდა. სანამ ნასწავლს გამოიყენებთ სერიოზულ სატურნირო პარტიებში, კარგია მისი გამოყენება მსუბუქ პარტიებში, როცა თვითეული პარტია გრძელდება ერთი ან ორი საათი. მიზანშეწონილია აგრეთვე თემატიკური საკონსულტაციო პარტიების თამაში.

ისმება კითხვა: ღირს განა ამდენი დროის დაკარგვა დებიუტების შესწავლაზე? რასაკვირველია, ღირს. დებიუტს იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ძირითადად მასზეა დამოკიდებული პარტიის ბედი. მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონის სახელზე მ. ბოტვინიკ - ვ. სმისლოვის მატჩში ბრძოლა ძირითადად გადატანილი იყო დებიუტში, სადაც წყდებოდა ჩემპიონის გვირგვინის საკითხი. დღეს დებიუტების ცოდნის გარეშე შეუძლებელია საჭადრაკო მწვერვალების დაპყრობა.

სადებიუტო სისტემების ღრმა ცოდნა ეხმარება მოჭადრაკეს წინასწარ იცოდეს, თუ რა სახის შუათამაშია მოსალოდნელი ან როგორი ენდშპილია შესაძლებელი. გარდა ამისა, ახდენს მოფიქრებისათვის განკუთვნილი დროის ეკონომიას.

დებიუტის შესწავლა მოითხოვს შრომას, მაგრამ უხვად ანაზღაურებს მასზე დახარჯულ დროს.

თ. გიორგაძე,
ოსტატობის კანდიდატი

დახმარებას მოითხოვენ

გასული წლის დამლევს ხაშურის რაიონის სოფ. სატივის სასოფლო კლუბთან ჩამოყალიბდა ჭადრაკის შემსწავლელთა წრე. სოფლის ახალგაზრდობა ინტერესით მოეკიდა თამაშის შესწავლას. წრეში გაერთიანებული ჭადრაკის 15 მოყვარული რეგულარულად ესწრებოდა მეცადინეობებს. წრის ხელმძღვანელი, ამავე სოფლის რვაწლიანი სკოლის მათემატიკის პედაგოგი ა. ბითაძე მონდომებით აცნობდა მომეცადინეებს ჭადრაკის ისტორიისა და თეორიის საწყისებს. ხშირად ეწყობოდა შეჯიბრებები.

გავიდა თითქმის ერთი წელი და სოფელში წამოიზარდა მრავალი ახალგაზრდა მოჭადრაკე: მ. ჩიტაძე, გ. დარსაველიძე, ც. გელაშვილი, პ. ჯამბაზიშვილი, თ. ფხოვიძე და სხვები. ისინი ახლა სხვებს ასწავლიან ჭადრაკის თამაშს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ნორჩი მოჭადრაკე, მეორე კლასის მოსწავლე ზ. ჯამბაზიშვილი. მისი გონიერი და დაკვირვებული თამაში სოფლის მოჭადრაკეთა მოწონებას იმსახურებს.

სამწუხაროდ, ჩვენთან არასოდეს არ ჩამოსულა გამოცდილი, მაღალი თანრიგის მოჭადრაკე, რომელიც დაგვეხმარებოდა საკვალიფიკაციო შეჯიბრების მოწყობაში, ან წაიკითხავდა საინტერესო ლექციას ჭადრაკზე. ვთხოვთ რესპუბლიკის საჭადრაკო სექციას დაგვეხმაროს ამ საქმის მოგვარებაში.

პ. გელაშვილი



ამას წინათ კიევში ჩატარებულ მძლეოსანთა საკავშირო პირველობაში ევროპის ჩემპიონმა ა. იგნატიევმა 400 მეტრი გაირბინა 46,1 წამში. ქალთა შორის ამავე მანძილზე სპორტის ოსტატმა პ. სოლოპოვამ აჩვენა 55,1 წამი. ორივე ეს შედეგი ახალი საკავშირო რეკორდია.

სურათებზე: (ზევით) პ. სოლოპოვა ფინიშთან, (ქვევით) ა. იგნატიევი დისტანციაზე.

ფოტო ლ. დორენკოსი და ვ. სიჩევისა

მკითხველთა სიგნალები

დაპირება დაპირებად დარჩა

მსაჯის სასტვენზე ახალგაზრდა ფეხბურთელები შეებნენ ერთმანეთს. ორივე მხარე ცდილობდა ინიციატივის ხელში ჩაგდებას. აი, წითელმაისურიანებმა ენერგიულად შეუტიეს მოწინააღმდეგეს, გაითამაშეს ლამაზი კომბინაცია და ძლიერად დარტყმული ბურთი ბადეში გაეხვია...

ეს ამბავი ახლაც ტკბილად აგონდებათ ამბროლაურის რაიონის სოფელ კაჩაეთის ახალგაზრდებს. რამდენიმე წლის წინათ ამ სოფელში ფეხბურთის კეთილმოწყობილი მოედანი გააჩნდათ, სადაც მუშაობისაგან თავისუფალ საათებში იკრიბებოდნენ ახალგაზრდები, ეუფლებოდნენ სპორტის ამ სახეობას, აწყობდნენ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი სოფლების ფეხბურთელებთან. მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს სავარჯიშოდ მოსულ სპორტსმენებს თავიანთ საყვარელ მოედანზე საშენი მასალა დახვდათ. თურმე კოლმეურნეობის გამგეობას გადაუწყვეტია ფეხბურთის მოედანზე ფერმა მოეწყო.

გაზეთ „ლელოს" გასული წლის ნომერში დაბეჭდილმა მამხილებელმა წერილმა ამ სოფლის ფეხბურთის მოედნის შესახებ, გამოაფხიზლა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტი, კოლმეურნეობის გამგეობა და კომკავშირული ორგანიზაცია. გადაწყდა აღედგინათ მოედანი. ამ ამბით გახარებული ახალგაზრდები მზად იყვნენ საკუთარი ძალებით მოეწყოთ ფეხბურთის სათამაშო ადგილი. მაგრამ დაპირება, დაპირებად დარჩა და ფეხბურთის მოედნის მოწყობის საქმეც დავიწყებას მიეცა.

შ. ენდელაძე
ვ. აფრიდონიძე

ხაშურის სარკინიგზო კვანძის ფიზკულტურელთა მიმართვა ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურელებისადმი

ჩვენ, ხაშურის კვანძის ფიზკულტურელები, გავეცანით ჩვენი კვანძის ძირეული კოლექტივების მუშაობის შედეგებს მიმდინარე წლის განვლილი 8 თვის მანძილზე. ჩვენი საერთო აზრია, რომ ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობა ხაშურის კვანძის ახალგაზრდობას შორის სათანადო სიმაღლეზე არ დგას, სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ბევრი ძირეული ფიზკულტურული კოლექტივი ფორმალურად არსებობს, არ წარმოებს მშთ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა მომზადება, ნაკლებად ტარდება შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები, ახალგაზრდებისა და კომკავშირელთა დიდი ნაწილი არაა გაერთიანებული სპორტსაზოგადოებაში, არ მუშაობენ სექციები. ბევრი ინსტრუქტორი, რომელმაც გაიარა კურსები ან სემინარი, პრაქტიკულ მუშაობას არ ეწევა.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ყველა პირობა შექმნეს ჩვენს ქვეყანაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისათვის. ჩვენი აზრით, ფიზკულტურულ-მასობრივი და სასწავლო-საწვრთნელი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება ხაშურის კვანძის რკინიგზელთა ფიზკულტურულ კოლექტივებში, უპირველეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჩვენზე, თუ რამდენად გულისხმიერად და უნარიანად მოვეკიდებით ამ საპასუხისმგებლო და სასარგებლო საქმეს.

ხაშურის კვანძის ფიზკულტურელებმა ფიზკულტურელთა საერთო კრებაზე ავიღეთ ვალდებულება და მივმართავთ ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა ძირეულ კოლექტივს.

1. მშთ ნიშნოსნების, თანრიგოსნებისა და საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების გეგმა ყველა კოლექტივში შევასრულოთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დღისათვის.
2. 7 ნოემბრისათვის მოვაწყოთ ფრენბურთისა და კალათბურთის სპორტული მოედნები რკინიგზის კლუბის, საელმავლო, სავაგონო და საორთქლმავლო დეპოების, გზის სამსახურის, ენერგომომარაგებისა და სხვა წარმოებათა ტერიტორიებზე.
3. ჩამოვაყალიბოთ ფრენბურთის, ჭადრაკის, შაშის, მძლეოსნობის, მაგიდის ჩოგბურთის, ქართული ჭიდაობისა და სათხილამურო სპორტის სექციები.
4. ქმედითი, პრაქტიკული შეფობა გავუწიოთ გომისა და ხაშურის მტს-ების ფიზკულტურელებს.

◆

სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" ამიერკავკასიის საგზაო საბჭომ განიხილა ხაშურის სარკინიგზო კვანძის ფიზკულტურელთა მიმართვა ამიერკავკასიის რკინიგზის ყველა ფიზკულტურელისადმი, მოიწონა მათი ინიციატივა და წინადადება მისცა რაისაბჭოების თავმჯდომარეებს განიხილონ თავიანთ კოლექტივებში ხაშურელთა მიმართვა.

რკინიგზელ ფიზკულტურელთა შორის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, აქტივისტთა სტიმულირებისათვის საგზაო საბჭომ დააწესა სამი ჯილდო იმ ფიზკულტურის საკვანძო კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებიც საუკეთესო შედეგებს მიაღწევენ ოქტომბრის დღესასწაულისათვის.

პირველი პრემია ითვალისწინებს ვიმპელს, საგზაო საბჭოს სიგელს და 5.000 მანეთის სპორტულ ინვენტარს. მეორე პრემია — ვიმპელს, საგზაო საბჭოს სიგელს და 3.000 მანეთის სპორტულ ინვენტარს. მესამე პრემია — ვიმპელს, საგზაო საბჭოს სიგელს და 2.000 მანეთის სპორტულ ინვენტარს.

გარდა ამისა, საგზაო საბჭომ გამოყო 5.000 მანეთი და დააწესა სიგელი ფიზკულტურული კოლექტივების მოწინავე თავმჯდომარეების, კომკავშირის კომიტეტების მდივნების, საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მწვრთნელებისა და ფიზორგების დასაჯილდოებლად.

შეხვედრა მოწინავე სპორტსმენებთან

18 სექტემბერს საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტისა და ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით რკინიგზელთა სახლში მოეწყო დედაქალაქის კომკავშირული და ფიზკულტურული აქტივის შეხვედრა რესპუბლიკის მოწინავე სპორტსმენებთან. შეხვედრა, რომელსაც 700-ზე მეტი კაცი დაესწრო, გახსნა კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა პროპაგანდისა და აგიტაციის დარგში გ. კაჭარავამ.

მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ სპორტის დამსახურებული ოსტატი ოთარ ქორქია, მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაზე გამარჯვებული ველოსიპედისტი მზია დიასამიძე, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ტამოვარჯიშე გალინა შარაბიძე, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გოგონათა შორის ჭადრაკში მანანა ტოგონიძე, რომლებმაც დამსწრეებს მოუთხრეს მოპოვებულ გამარჯვებათა შესახებ, აღნიშნეს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, მადლობა გადაუხადეს კომკავშირულ და ფიზკულტურულ აქტივს გულთბილი შეხვედრისათვის.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ მიმდინარე წელს მაღალი სპორტული მიღწევების მოპოვებისათვის დაჯილდოებულ იქნა რესპუბლიკის სპორტსმენთა და მწვრთნელთა დიდი ჯგუფი. დაჯილდოებულებს საპატიო სიგელები და ჯილდოები გადასცა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. თ. ჯანელიძემ. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელები მიიღეს თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდმა და გუნდის წევრებმა, „ნორჩი დინამოელის" ფეხბურთელთა გუნდმა და ფეხბურთელებმა, სპორტსმენებმა ხ. ხანუკაშვილმა, მ. დიასამიძემ, მ. ტოგონიძემ, ვ. ქიტინოვამ, ა. ვერულავამ, მოფარიკავე ოსიპოვმა და სხვ. საპატიო სიგელები გადაეცათ აგრეთვე მწვრთნელებს გ. გაგუას, ა. კუნაძეს, მ. კეკელიძეს, გ. ავალიშვილს, გ. ვარძელაშვილს, ხანგულიანს, მ. კლდიაშვილს და სხვ. ტანვარჯიშში მსოფლიო პირველობაში მაღალი სპორტული მაჩვენებლების მოპოვებისათვის საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი გადაეცა გ. შარაბიძესა და ს. ჯაიანს.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდს ფასიანი საჩუქრები გადასცა ფიზკულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ გ. რცხილაძემ.

დასასრულს გაიმართა სპორტული და მხატვრული განყოფილება.

ჭაბუკთა ღირსეული ცვლა

დამთავრდა შეჯიბრება ჩვენი გაზეთის გარდამავალ ჯილდოზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: საქართველოს I და II ნაკრები გუნდების შეხვედრის მომენტი.

ფოტო მ. ზარგარიანისა

19 სექტემბერი

საქართველოს ნაკრები III — „ნორჩი დინამოელი" II

მსაჯი ო. ჯებაშვილი

ორივე გუნდმა შეჯიბრება დაიწყო ფრთხილად, თამაში ფაქტიურად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა. პირველი ნახევრის ბოლო წუთებში შესამჩნევად გააქტიურდნენ დინამოელები, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში მათი თავდამსხმელები ზედმეტად აჩერებდნენ ბურთს, აგვიანებდნენ კარში დარტყმას.

მეორე ტაიმში უპირატესობა ნაკრების მხარეზეა. უკვე მეოთხე წუთზე ლ. ლებანიძე (№ 7) ზუსტად აწვდის ბურთს თავისუფლად მყოფ ლ. ჟორდანიას (№ 9). ეს უკანასკნელი კი ძლიერი დარტყმით ხსნის ანგარიშს.

ინიციატივა კვლავ ნაკრების მხარეზეა. მათ რამდენიმე სწრაფი და მოფიქრებული კომბინაცია გაითამაშეს, მაგრამ შეტევები კვლავ არაზუსტი დარტყმით მთავრდებოდა. 24-ე წუთზე დ. ჯეჯელავა (№ 8) პირისპირ დარჩა დინამოელთა მეკარესთან, მაგრამ მის მიერ დარტყმული ბურთი აცდა კარს. ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა დაკარგეს აგრეთვე დინამოელებმა. შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:0 მესამე ნაკრების სასარგებლოდ.

ნ. ჯაფარიძე

35-ე სკოლა II — ზუგდიდი

მსაჯი კ. ყრუაშვილი

შეხვედრის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა სწრაფ ტემპში. ორივე გუნდის კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ გოლის გატანის მრავალი რეალური შესაძლებლობიდან გამოყენებულ იქნა მხოლოდ ერთი 35-ე სკოლის ფეხბურთელების მიერ.

შესვენების შემდეგ ზუგდიდელები მოედანზე გამოვიდნენ გამარჯვებისადმი მტკიცე რწმენით და პირველ წუთებშივე თამაში წარიმართა მოედნის თბილისელთა ნახევარზე. მე-8 წუთზე ზუგდიდელთა ცენტრალური თავდამსხმელი ნ. მიქაია სწრაფად გაიჭრა თბილისელთა კარისაკენ. მცველებმა ვერ შეძლეს მისი იერიშის უვნებელყოფა და ამ უკანასკნელმა 14 მეტრის მანძილიდან ძლიერი დარტყმით კარის მარჯვენა კუთხეში გაგზავნა ბურთი. ექვსი წუთის შემდეგ ზუგდიდელებმა მეორე ბურთი გაიტანეს.

მაგრამ ზუგდიდელებმა ვერ შეძლეს მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნება, დაჯერდნენ მიღწეულს და ნაადრევად გადავიდნენ დაცვაზე, რამაც საშუალება მისცა თბილისელებს თითქმის მთელი გუნდით დამკვიდრებულიყვნენ მოწინააღმდეგის ნახევარზე. თბილისელებმა ჯერ გაათანაბრეს ანგარიში (2:2), ხოლო თამაშის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე გაიტანეს გადამწყვეტი, მესამე ბურთი და შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 3:2.

ა. ნინოშვილი

„ნორჩი დინამოელი" I — 35-ე სკოლა I

მსაჯი გ. ბაქანიძე

ამ თამაშის შედეგს უნდა გამოერკვია, რომელი გუნდი გამოვიდოდა III საპრიზო ადგილზე. გუნდებმა თავიდანვე გაბედულად შეუტიეს ერთმანეთს. პირველ წუთზევე ოსიევმა (№ 10) ძლიერად დაარტყა დინამოელთა კარში. ბურთი მცირე მანძილით ასცდა კარს. 2 წუთის შემდეგ დინამოელმა ხაზარაძემ (№ 8) ასეთივე დარტყმით უპასუხა მოსწავლეებს მაგრამ დარტყმამ ვერც ახლა მიაღწია მიზანს

თამაშის მეოცე წუთიდან მოსწავლეებმა შეანელეს შეტევა, ინიციატივა თანდათან ხელთ იგდეს დინამოელებმა და ივანოვ-მაჭარაშვილ-ხაზარაძის ლამაზი კომბინაციები ხშირად კარებში ძლიერად დარტყმით მთავრდებოდა. მოსწავლეთა მეკარე ადამოვმა რამდენიმე ძნელი ბურთი მოიგერია. 22-ე წუთზე უმეთვალყუროდ დატოვებულმა ანთიძემ (№ 10) მიიღო ბურთი, მიუახლოვდა მოსწავლეთა საჯარიმო მოედანს და ძლიერად დაარტყა. 1:0.

თამაში დამთავრდა ანგარიშით — 1:0 „ნორჩი დინამოელი" I-ის სასარგებლოდ.

ო. ჟორჟოლიძე

საქართველოს ნაკრები I — საქართველოს ნაკრები II

მსაჯი გ. აკობაშვილი

აი, მოედნის ცენტრში ბურთს დაეუფლა საქართველოს მეორე ნაკრების მარცხენა შუამარბი ს. ნაროზაშვილი, კარგად აუარა მცველებს, მივიდა პირით ხაზთან და კარის გასწვრივ ჩააწოდა. თ. ახლამაზოვმა დაასწრო მცველებს, მეკარესა და შეუჩერებელი დარტყმით ბურთი გაგზავნა ბადეში. ანგარიში გახდა 1:0. ეს მოხდა შეხვედრის 15-ე წუთზე. მანამდე ორივე გუნდს რამდენიმეჯერ ჰქონდა ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ასე დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი.

მეორე ნახევარში თამაში თანაბარ ტემპში წარიმართა. მეორე ნაკრების ერთ-ერთი შეტევის დროს ნაროზაშვილმა გამოიტყუა მეკარე ივანოვი და ძლიერად დაარტყა ცარიელ კარში, კასრაძემ, კარი იხსნა, ბურთმა კი გადასჭრა პირითი ხაზი. კუთხური დარტყმიდან მოწოდებული ბურთი კარგად გამოიყენა თ. ახლამაზოვმა და მეორედ შეარხია მოწინააღმდეგის კარის ბადე.

იმავე წუთში II ნაკრების მეკარე ჰელიძემ აკრობატული ნახტომით მოიგერია ძლიერი დარტყმა. მალე მეკარე ივანოვს მესამე ბურთი გამოაქვს საკუთარი კარიდან. ბურთი გაიტანა ა. თედეევმა. 65-ე წუთზე კაკაბაძემ კარგად გადააწოდა მელაშვილს. იგი მეკარის პირისპირ დარჩა, მაგრამ აჩქარდა, ბურთი გადაცდა მეკარესაც და კარსაც. 72-ე წუთზე ანგარიში გახდა 3:1. ა. ჩიჩუამ, რომელიც მეკარის პირისპირ დარჩა, შეძლო ერთი ბურთის გაქვითვა.

ანგარიშით 3:1 გაიმარჯვა მეორე ნაკრებმა და პირველად მოიპოვა ჩვენი გაზეთის გარდამავალი ჯილდო — თასი.

ო. ივდოშვილი



ოცდაცამეტი უძლიერესი

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის კომისიამ დ. ცომაიას, ა. კიკნაძის, გ. ფაჩულიას, ა. გალპერინისა და ვ. პანიუკოვის შემადგენლობით ჩვენი გაზეთის ჯილდოზე ჩატარებულ ჭაბუკ ფეხბურთელთა გათამაშების შედეგების მიხედვით შეარჩია 33 საუკეთესო ფეხბურთელი, რომელთაგანაც შეივსება თბილისის „დინამოსა" და ფეხბურთის სკოლის შემადგენლობა.

33 საუკეთესოთა შორის არიან:

მეკარეები: ვ. ივანოვი (35-ე სკოლა), ა. კვაჭაძე (ბათუმი), გ. წერეთელი (ქუთაისი);

მარჯვენა მცველები: ი. სევოსტიანოვი, ი. კერესელიძე („ნორჩი დინამოელი"), ზ. კაკაურიძე (35-ე სკოლა);

ცენტრალური მცველები: გ. კასრაძე (სტალინირი), ზ. გაიხარაშვილი (უნივერსიტეტი), ბ. სიჭინავა (ზუგდიდი);

მარცხენა მცველები. რ. ჭანჭალეიშვილი, დ. ბაკურაძე („ნორჩი დინამოელი"), რ. კეთილაძე (პოლიტექნიკური ინსტიტუტი);

მარჯვენა ნახევარმცველები: ი. ჩანტლაძე, მ. ანთიძე, („ნორჩი დინამოელი"), რ. ძნელაძე (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი);

მარცხენა ნახევარმცველები: ა. ხელაძე (35-ე სკოლა), თ. პეტრიაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი), ნ. ხარჯველაძე (ბორჯომი);

მარჯვენა გარემარბები: ნ. მიქაია (ზუგდიდი), კ. ივანოვი („ნორჩი დინამოელი"), ი. ლაღიძე (35-ე სკოლა);

მარჯვენა შუამარბები: თ. მელაშვილი, გ. ხაზარაძე („ნორჩი დინამოელი"), ა. თედეევი (სტალინირი);

ცენტრალური თავდამსხმელები: შ. კაკაბაძე (35-ე სკოლა), გ. მაჭარაშვილი („ნორჩი დინამოელი"), უ. უშანგიშვილი (35-ე სკოლა);

მარცხენა შუამარბები: ს. ნაროზაშვილი (სკიფი), ა. ჩიჩუა (35-ე სკოლა), ნ. ბახტაძე (სკიფი);

მარცხენა გარემარბები: მ. მესხი (35-ე სკოლა), ო. უნგიაძე („ნორჩი დინამოელი"), თ. ახლამაზოვი (35-ე სკოლა).

16 მატჩის შემდეგ

მართალია, მიმდინარე წლის სსრ კავშირის პირველობის გათამაშებაში თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი მეტად დაბალი შედეგებით გამოვიდა, ვერ გაამართლა რესპუბლიკის მრავალრიცხოვან გულშემატკივართა იმედები. მაგრამ რესპუბლიკაში ოსტატთა საიმედო ცვლა არის და გულშემატკივართა სასიხარულოდ უნდა ვთქვათ, რომ იგი უახლოეს დროში ჩადგება ოსტატთა შორის.

კარგ მომავალს წინასწარმეტყველებენ რესპუბლიკის ჭაბუკ ფეხბურთელთა მიერ მიმდინარე წლის სეზონში მოპოვებული შედეგები. „ნორჩი დინამოელის" საკავშირო თასზე გამარჯვება, ჭაბუკ ფეხბურთელთა მეორე ადგილი და მოსკოვის გაზეთების მიერ მათი თამაშის ფრიადზე შეფასება ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ როგორ სწრაფად იზრდება ჭაბუკი ფეხბურთელების თამაშის დონე.

ახალგაზრდა ნიჭიერ ფეხბურთელთა გამოვლინების მიზნით გაზეთ „ლელოს" რედაქციამ დააწესა გარდამავალი ჯილდო. ამ ჯილდოს გათამაშებაში ჩვენი რესპუბლიკის რვა საუკეთესო ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი მონაწილეობდა. გათამაშების მიზანი იყო აგრეთვე თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობისათვის საჭირო კონტინგენტის შერჩევა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული ნიჭიერ ფეხბურთელთა სკოლის შევსება.

გათამაშების დამთავრების შემდეგ ადგილები შემდეგნაირად განაწილდა: 1. რესპუბლიკის ნაკრები II, 2. რესპუბლიკის ნაკრები I, 3. „ნორჩი დინამოელი" I, 4. 35-ე სკოლა I, 5. 35-ე სკოლა II, 6. ზუგდიდი, 7. საქართველოს ნაკრები III, 8. „ნორჩი დინამოელი" II.

რა გვიჩვენა ამ შეჯიბრებამ? სიხარულით უნდა აღვნიშნოთ, რომ მან ცხადყო ახალგაზრდა ფეხბურთელთა სპორტული სიმწიფე, გუნდების უმეტესობა ტექნიკურად, ტაქტიკურად და ფიზიკურად კარგად იყო მომზადებული. ჩვენ ყველანი ჭაბუკ ფეხბურთელთა მიერ გათამაშებული ლამაზი, გააზრებული კომბინაციების, ბურთის სწრაფი და ზუსტი გადაცემის, კარში შეუჩერებელი და ზუსტი დარტყმის მოწმე ვიყავით. რეზერვი არის! ახლა საჭიროა მათთან გულმოდგინე, შეუპოვარი მუშაობა, მწვრთნელებმა უნდა შეისწავლონ თვითეული აღსაზრდელის დადებითი და უარყოფითი მხარეები, ინდივიდუალური მუშაობის მეთოდით გამოასწორონ მათი ნაკლოვანი მხარეები და რესპუბლიკას მოუმზადონ მაღალკვალიფიციური ფეხბურთელები.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია რესპუბლიკის პირველი ნაკრები გუნდი. აქ არის თავმოყრილი საუკეთესო ფეხბურთელები. ყოველ მათგანში იგრძნობა მომავალი. მეკარე ივანოვი, თუმცა მან ეს შეჯიბრება სუსტად ჩაატარა, პერსპექტივიანი ახალგაზრდაა, გუნდში ენერგიული, მოხდენილი თამაშით გამოირჩევიან კაკაბაძე, კასრაძე, მელაშვილი, მესხი, ხელაძე, სევასტიანოვი, ჩანტლაძე და სხვ. მართალია, გუნდი მეორე ადგილზე გამოვიდა, მაგრამ ეს ოდნავადაც არ აყენებს ჩრდილს მის უპირატესობას ამ შეჯიბრებაში. მეორე ნაკრებიდან აღსანიშნავია გაიხარაშვილის, ძნელაძის, პეტრიაშვილის, თედეევისა და სხვათა თამაში. მეორე ნაკრების წევრებს კარგი სატურნირო გამოცდილება აქვთ. სწორედ ამან შეუწყო ხელი მათ გამარჯვებას.

„ნორჩი დინამოელის" პირველი გუნდი გამოვიდა იმ შემადგენლობით, რომლითაც მან წარმატებით გაიმარჯვა საკავშირო თასზე. გუნდის წარუმატებლობა ამ გათამაშებაზე სათანადოდ მოუმზადებლობის შედეგია. დინამოელთა კოლექტივში კარგი მომავლის მქონე ნიჭიერი ახალგაზრდებია (ხაზარაძე, მაჭარაშვილი, ივანოვი). 35-ე სკოლის პირველი გუნდი მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა. აქედანაც უნდა აღვნიშნოთ საუკეთესონი. ესენი არიან უშანგიშვილი, გოგიჩაძე, გამცემლიძე, ადამოვი, ლაღიძე და სხვ. მისასალმებელია ზუგდიდის გუნდის მონაწილეობა ჩემპიონატში. ზუგდიდელთაგან აღსანიშნავია მიქაიასა და სიჭინავას თამაში

ჩემპიონატში ობიექტური მსაჯობით გამოირჩეოდნენ ბაქანიძე და ყრუაშვილი.

ო. ჟორდანია

• • •

სურათზე: თასის პირველი მფლობელი საქართველოს II ნაკრები გუნდი.

ფეხბურთი

საქართველოს პირველობა

მეოთხე ტურში, რომელიც 19 სექტემბერს ჩატარდა, რუსთავის „მეტალურგმა" თავის მოედანზე მიიღო ბათუმის „დინამო". პირველ ნახევარში სტუმრებმა მოიპოვეს წარმატება და შესვენებაზე გუნდები წავიდნენ ანგარიშით 1:0 ბათუმელთა სასარგებლოდ. შეხვედრის მეორე ნახევარში თამაშმა მწვავე ხასიათი მიიღო და მალე ანგარიში ხდება 2:0. მასპინძლებმა განახორციელეს რამდენიმე ლამაზი და მწვავე კომბინაცია და თამაშის დამთავრებამდე მოწინააღმდეგის კარში გაიტანეს ორი საპასუხო ბურთი. თამაში დამთავრდა ფრედ — 2:2.

• • •

მახარაძეში ადგილობრივმა „კოლმეურნემ" მიიღო გათამაშების ლიდერი ტ. ტ. ს-ი. დაძაბული ბრძოლა ისე დამთავრდა, რომ ანგარიში არ გახსნილა. 0:0.

• • •

ქუთაისში ადგილობრივმა დინამოელებმა ითამაშეს ფოთის ნაკრებთან. პირველ ნახევარში ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო ანგარიშის გახსნა. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ქუთაისელებმა გაიტანეს მეორე ნახევარში და გაიმარჯვეს.

• • •

სოხუმისა და გორის დინამოელთა შეხვედრა, რომელიც სოხუმში ჩატარდა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვის ტორპედოელებმა თავიანთი პირველი შეხვედრა სსრ კავშირის თასზე ჩაატარეს მოსკოვში ხაბაროვსკის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელებთან და გაიმარჯვეს ანგარიშით — 3:0. მერვედ ფინალში „ტორპედო" შეხვდება ცდსა-ს ფეხბურთელებს.

ორი ნაკრების შეჯიბრება

ლენინგრადის კიროვის სახელობის სტადიონზე ათეულ ათასობით ფეხბურთის მოყვარული შეიკრიბა სსრ კავშირისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების შეხვედრის სანახავად.

მატჩი, რომელიც სპორტულად საინტერესო და მწვავე ბრძოლით აღინიშნა, დამთავრდა ფრედ — 1:1.

თბილისელთა გამარჯვება

კვირას, 19 სექტემბერს, ფრუნზეში ჩატარდა სსრ კავშირის პირველობის მორიგი კალენდარული მატჩი „ბ" კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. ადგილობრივმა „ისკრამ" თავის მოედანზე მიიღო თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელები.

შეხვედრაში გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით — 4:0.

ლელობურთი

ქობულეთში ჩატარდა შეჯიბრება ლელობურთში აჭარის ასსრ 1954 წლის პირველობაზე. გათამაშებაში მონაწილეობა მიიღეს ქობულეთის, ბათუმისა და ქედის რაიონების ლელობურთელთა გუნდებმა. ქალაქ ბათუმის, ხულოსა და შუახევის რაიონების გუნდები შეჯიბრებაზე არ გამოცხადდნენ.

პირველი ადგილი და აჭარის ასსრ ჩემპიონის სახელი მოიპოვა ქობულეთის რაიონის გუნდმა. გათამაშების დამთავრების შემდეგ გუნდს გადაეცა გარდამავალი ჯილდო — აჭარის ასსრ ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის გარდამავალი თასი. გუნდის წევრები დაჯილდოვდნენ პირველი ხარისხის დიპლომებით.

ო. კონცელიძე

სტარტზეა 2500 სპორტსმენი

★

დაიწყო დედაქალაქის XVI საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადა

★

დიდი სპორტული დღე! ასე უწოდეს თბილისელმა სპორტის მოყვარულებმა 19 სექტემბერს. მართლაც დედაქალაქის სპორტული ბაზები სავსე იყო მოასპარეზეებით. ისინი სპორტის სხვადასხვა სახეობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ „დინამოს", მაუდის ფაბრიკისა და 26 კომისრის სახელობის რაიონის სტადიონებზე, ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზში, „დინამოს" ტირში, ქალაქის საჭადრაკო კლუბში.

საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა ამ დღეს „დინამოს" სტადიონი. მისი იარუსები მორთული იყო სახელმწიფო და სპორტული ალმებით, პლაკატებითა და ტრანსპარანტებით, წარწერით „სალამი ქალაქის XVI საფაბრიკო-საქარხნო სპარტაკიადის მონაწილეებს".

დილის 10 საათი და 30 წუთია. ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის მ. ბერიევის განკარგულებაზე მწყობრად შემოდიან სპარტაკიადის მონაწილენი. მისალმებისათვის სიტყვა ეძლევა საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის მდივანს ამხ. ვ. სირაძეს. შეჯიბრების ალამი აღმართეს გასული წლის სპარტაკიადაში გამარჯვებულმა 26 კომისრის სახელობის რაიონისა და 26 კომისრის სახელობის ქარხნის სპორტსმენთა წარმომადგენლებმა.

11 საათზე მძლეოსნურ სექტორებზე დაიწყო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ მძლეოსანთა შეჯიბრება. შეჯიბრების პროგრამაში იყო რბენა 100 მეტრზე, ამანათრბენი, ტყორცნები, ხტომები და სხვ.

100 მეტრზე რბენაში ქალთა შორის ფინალური გარბენის შემდეგ ჩემპიონობა მოიპოვა 26 კომისრის სახელობის რაიონის წარმომადგენელმა ვ. ელისეევამ. ვაჟთა შორის პირველი იყო ლ. ნიკოგოსოვი (ტტსი), მისი შედეგია 11,6. მანვე გაიმარჯვა სიმაღლეზე ხტომაში. ქალთა ამანათრბენში (400+300+200+100) პირველი იყვნენ 26 კომისრის სახელობის რაიონის მორბენლები. პირველ დღეს ჩატარდა აგრეთვე შეჯიბრება ქალთა შორის სიგრძეზე ხტომაში, სადაც გამარჯვებული გამოვიდა ლ. სილინენკო (26 კომისრის სახელობის რაიონი). პირველი დღის შემდეგ პირველ ჯგუფში წინ მიდიოდნენ 26 კომისრის სახელობის რაიონის სპორტსმენები (6.905 ქულა), ტ. ტ. ს-ის გუნდი მეორე ადგილზე იყო. II ჯგუფში მ:რგარინის ქარხნის წარმომადგენლებს შეგროვებული ჰქონდათ 4.323 ქულა.

ფიზკულტურელის პარკის საცურაო აუზში უკვე დამთავრდა შეჯიბრება ცურვაში. მონაწილეობდა ორივე ჯგუფის 30 კოლექტივი. 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში I ჯგუფის ქალთა შორის გაიმარჯვა გ. კონდრატოვამ (1:58,7), II ჯგუფში — ე. მამულაშვილმა (1:50,7). ვაჟთა შორის ჩემპიონი გახდა ა. ალექსანდროვი (26 კომ. სახ. რ-ნი). მეორეზე გამოვიდა სატრიკოტაჟო კომბინატის წარმომადგენელი ა. ჩიხლაძე. ამანათცურვაში I ჯგუფში, როგორც ვაჟთა ისე ქალთა შორის გაიმარჯვეს 26 კომისრის სახელობის რაიონის წარმომადგენლებმა, II ჯგუფში — ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის სპორტსმენებმა. საერთო პირველი ადგილი მოიპოვა 26 კომისრის სახელობის რაიონის გუნდმა.

• • •

სურათზე: სპარტაკიადის მონაწილეთა პარადი „დინამოს" სტადიონზე.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

წყალბურთელთა ჩემპიონატი

19 სექტემბერს თბილისის ფიზკულტურელის პარკის წყალჯომარდობის სადგურში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ლენინის ორდენოსანი სპორტული საზოგადოება „სპარტაკის" პირველობის გათამაშება წყალბურთში. სპორტული საზოგადოების ჩემპიონის სახელს ერთმანეთს ეცილებიან მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ტალინის, ხარკოვის, სტალინგრადისა და სხვა ქალაქების გუნდები. საქართველოს სპორტულ სახელს იცავს სოხუმის კოლექტივი.

შეჯიბრების მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

პირველად ერთმანეთს შეხვდნენ გორკისა და დნეპროპეტროვსკის წყალბურთელები. თავიდანვე ინიციატივა ხელთ იგდეს დნეპროპეტროვსკელმა სპორტსმენებმა და 20 წუთის განმავლობაში მათ მოწინააღმდეგის კარში 12 ბურთი გაიტანეს, ხოლო საკუთარში მხოლოდ ერთი მიიღეს.

ასევე იყო ლენინგრადისა და როსტოვის გუნდების შეხვედრაში. ლენინგრადის წყალბურთელებს სუსტი წინააღმდეგობა გაუწია მოწინააღმდეგემ და დამარცხდა ანგარიშით 3:9. კიევისა და ხარკოვის კოლექტივების თამაში თავიდანვე საინტერესოდ წარიმართა. ხარკოველები ოსტატურად უქნებელყოფდნენ კიევის გუნდის სახიფათო იერიშებს. მაგრამ მეორე ნახევარში აშკარა გახდა უკრაინის დედაქალაქის სპორტსმენთა უპირატესობა. მათ მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 5:2.

სპორტულად დაძაბული გამოდგა სოხუმისა და სტალინგრადის გუნდების მატჩი. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს, მაგრამ მალე პედის ძლიერად დარტყმული ბურთი სტალინგრადელთა კარის ბადეში გაეხვია. შემდგომ ინიციატივა სოხუმელთა ხელთ იყო და პირველი ნახევარი მათი გამარჯვებით — 3:1 დამთავრდა.

შესვენების შემდეგ სტალინგრადის გუნდი აღიდებს ანგარიშს, მაგრამ ამას სოხუმელები ერთი ბურთის გატანით პასუხობენ. ანგარიში ხდება 4:2, 5:3, 5:4 სოხუმელთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ თამაშმა უფრო საინტერესო ხასიათი მიიღო. ორივე გუნდი დაუღალავად იბრძოდა ანგარიშის შეცვლისათვის. თამაშის ბოლომდე მოწინააღმდეგეებმა თითო ბურთი გაიტანეს და შეხვედრაში გამარჯვებული გამოვიდა სოხუმის გუნდი — 6:5.

შეჯიბრების მეორე დღეს მაყურებელთა ინტერესი გამოიწვია ლენინგრადისა და დნეპროპეტროვსკის გუნდების თამაშმა. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ლენინგრადელთა გამარჯვებით — 5:4. კიევმა დაამარცხა კრასნოდარის წყალბურთელები — 13:0, სტალინგრადმა — ხარკოვი — 7:2. მოსკოვისა და როსტოვის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2. მესამე დღეს როსტოვმა მოუგო დნეპროპეტროვსკს — 4:3, ლენინგრადმა — ტალინს — 8:0, მოსკოვმა — გორკის — 14:0. სოხუმისა და ხარკოვის კოლექტივების შეხვედრაში თამაშის ბოლო წუთამდე ანგარიში სოხუმელებს მიჰყავდათ — 2:1. უკანასკნელ წუთზე ხარკოველთა ერთ-ერთი იერიში სოხუმელთა კარში ბურთის გატანით დაგვირგვინდა. მატჩი დამთავრდა ფრედ — 2:2.

მსოფლიო გუნდური პირველობა

მეხუთე ტურის შემდეგ გაიმართა გადადებული პარტიების დამთავრება. საბჭოთა მოჭადრაკეებს ბულგარეთთან სამი პარტია ჰქონდათ დასამთავრებელი. პოზიციის ანალიზის შემდეგ, თამაშის განუახლებლად ბრონშტეინი და ბოთვინიკი ყაიმზე შეთანხმდნენ. სმისლოვი ბევრს ეცადა გაეძლიერებინა თამაში ცვეტკოვთან, მაგრამ ამაოდ. ცვეტკოვი ჩინებულად იცავდა თავს და სმისლოვი იძულებული გახდა დაკმაყოფილებულიყო ყაიმით.

შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ კვლავ გადაიდო ბოტვინიკ-მინევის პარტია. პარტიის მესამედ განახლების შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა ლაზერების ენდშპილში შეძლო ერთადერთი პაიკის წინსვლით მისი მე-7 ჰორიზონტალამდე მიყვანა, რითაც უიმედო მდგომარეობაში ჩააყენა ბულგარელი ოსტატი. 91-ე სვლაზე მინევი დანებდა.

ამრიგად, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მატჩი დამთავრდა 3:1 საბჭოთა გროსმაისტერების სასარგებლოდ.

მეექვსე ტურში საბჭოთა გროსმაისტერების წინააღმდეგ თამაშობდნენ ისლანდიის ოსტატები. კარგ სპორტულ ფორმაშია კერესი, რომელიც აგუსტსონს შეხვდა. მეთოდური თამაშით 36-ე სვლაზე კერესმა გაიმარჯვა. ლაზიერის დებიუტში ბრონშტეინმა მახვილგონივრულად გამოიყენა ისლანდიელი გუდმუნდსონის ფიგურების არახელსაყრელი მდგომარეობა და გაიმარჯვა. პოზიციური თამაში გაჩაღდა გელერ-იოგანსონის პარტიაში. გაიმარჯვა პირველმა. სამჯერ იქნა გათამაშებული არნალაუგსონ-კოტოვის პარტია. მხოლოდ მესამე დღეს შეძლო საბჭოთა გროსმაისტერმა ისლანდიელის წინააღმდეგობის დაძლევა. საბჭოთა კავშირი-ისლანდიის მატჩის ანგარიშია 4:0.

მეშვიდე ტურის საბჭოთა კავშირ-არგენტინის მატჩში ბოტვინიკმა გაიმარჯვა ნაიდორფთან, ბრონშტეინმა მოუგო პანოს, ხოლო კერესმა — პილნიკს, ბოლბოჩან-სმისლოვის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. მატჩის ანგარიშია 3,5:0,5.

შვიდი ტურის შემდეგ საბჭოთა გუნდს 22,5 ქულა აქვს, იუგოსლავიას — 18, არგენტინას — 17.

მეორე ადგილზე

მოსკოვში ჩატარდა „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური პირველობა სატყვიო სროლაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გზათა მიმოსვლის სამინისტროს, ომსკის, მოსკოვ-კურსკ-დონბასის, ყაზანის, ჩრდილო კავკასიის, დონეცის, მოსკოვ-კიევის, ამიერკავკასიისა და სხვათა 13 გუნდი. სამდღიანი შეჯიბრების შედეგად გუნდური პირველი ადგილი და ცენტრალური საბჭოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა გზათა მიმოსვლის სამინისტროს საგზაო საბჭოს გუნდმა, მეორე ადგილზე გამოვიდნენ ამიერკავკასიის რკინიგზის მსროლელები, ხოლო მესამეზე — გასული წლის ჩემპიონი, ომსკის საგზაო საბჭოს სპორტსმენები.

ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მ. ვოლფენზონი, ა. შავიძე, ა. სოლომკო, ი. ტესტოვი, ქ. ზვერევი, მ. კოროლიოვი, ე. მიხაილოვა და მ. შებუევა.

აღსანიშნავია პირველთანრიგოსან ა. შავიძის წარმატება. ა. შავიძემ პირად პირველობაში დაიკავა მეორე ადგილი და შეყვანილ იქნა ცენტრალური საბჭოს ნაკრები გუნდის შემადგენლობაში, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობის გათამაშებაში.

ბ. ხაბალაშვილი

სკოლის პირველობაზე

ჩატარდა შეჯიბრება კალათბურთში თბილისის 77-ე საშუალო სკოლის პირველობაზე, რომელშიც მონაწილეობა მიიღო სკოლის ექვსმა ლეძტივმა. გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ X და XI კლასის ვაჟთა გუნდები. შეხვედრა დამთავრდა XI კლასის გამარჯვებით — 62:60. მოსწავლეებმა გ. აკოფოვმა, გ. ახვლედიანმა, რ. თიგიშვილმა და სხვებმა კარგად ჩაატარეს შეხვედრები.

გ. ღლონტი

ყოველი მხრიდან

კანადა. ვანკუვერში ჩატარდა ბრიტანეთის იმპერიის სპორტული თამაშობანი. ინგლისელი სპორტსმენი ჯიმი პიტერსი, რომელიც მარათონულ რბენას დიდხანს ლიდერობდა, სტადიონზე შესვლისას დაღლილობისაგან წაიქცა. პიტერსი ხუთჯერ წამოდგა და ხუთჯერვე წაიქცა. შემდეგ პატარა მანძილი ხოხვით გაიარა და კვლავ ადგა, რამდენიმე იარდი გაირბინა, რის შემდეგ გონება დაკარგა.

ამ შეჯიბრებაზე 15 წლის ავსტრალიელმა სპორტსმენმა გოგონამ ლორეინ კრეპმა 110 იარდზე თავისუფალი სტილით ცურვაში აჩვენა 1 წუთი, 5,8 წამი და მოიპოვა პირველი ადგილი.

• • •

სტოკჰოლმი. მძლეოსნობაში ევროპის პირველობის დამთავრების შემდეგ შვეციის დედაქალაქ სტოკჰოლმში მოეწყო მძლეოსანთა შეჯიბრება, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩეხმა სპორტსმენებმა, მსოფლიოს მრავალგზის რეკორდსმენმა გრძელ დისტანციაზე რბენაში ემილ ზატოპეკმა, იოჟეფ სკობლამ და დანა ზატოპკოვამ.

5.000 მეტრზე ზატოპეკმა აჩვენა 13 წუთი 57,2 წამი. ეს შედეგი 0,4 წამით ჩამორჩება საბჭოთა სპორტსმენის ვლადიმერ კუცის მიერ დამყარებულ მსოფლიო რეკორდს. გააუმჯობესა რა თავისი პირადი რეკორდი, ზატოპეკი მჭიდროდ მიუახლოვდა ვ. კუცის შედეგს. ბირთვის კვრაში გაიმარჯვა სკობლამ — 17 მ 14 სმ. ზატოპკოვამ მოიგო შუბის ტყორცნა, სადაც აჩვენა 47 მ 56 სმ. შვედმა სპორტსმენმა, ევროპის ჩემპიონმა და რეკორდსმენმა სიმაღლეზე ხტომაში ბენგტ ნილსონმა გადალახა 2 მეტრი და 10 სანტიმეტრი.

რედაქტორი ი. უგულავა

გაზეთი გამოდის ოთხშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი № 12 დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორისა — 3-89-62, პ/მგ მდივნისა და განყოფილებების — 3-90-34, მორიგისა და გამოშვების — 3-38-25.

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 15428